სახალხო გაზეთი

№ 443 შაბათი, 5 ნოემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 443

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორავან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადება მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედ ციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

დ. ყვირილაში
„ორიჰანის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა
„სახალხო გაზეთზე“. აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

კვირას, 6 გიორგობისთვეს, ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსი დავითი ლიდუბის ღვთის-მშობლის ეკლესიაში გადაიხდის წლის წირვასა და პანაშვიდს ხსენებულ ეკლესიის მნათედ ნამყოფ განსვენებულ

იოანნე (იგივე ნიკოლოზ) ზაქარიას ძის მათიაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი განსვენებულისა და ბარბარე იოანეს ასული მათიაშვილისა, და მარიამ ზაქარიას ასული სართანაძისა და დისწულები ალექსანდრა დავითის ასული მარტიაშვილისა და ეფრემ დავითის ძე სართანაძე. წირვა დაიწყება დილის ათის ნახევარზე. (1.914.1)

თებრო და შელა ელიზიშვილები და ილია გიორგის ძე სამადაშვილი სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ დაესწრნენ წლის წირვასა და პანაშვიდს პირველისა და მეორის—დაუვიწყარის დის, ხოლო მესამის—საყვარელ მეუღლის

მაშოს

სულის მოსახსენებლად, კვირას 6 ნოემბერს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში. (1.916.1)

6-ს გიორგობისთვეს,

კონსტანტინე იოსების ძის ჟავრიშვილის

გარდაცვალების მე-40-ე დღეს, კუკიის სასაფლაოზე, დილის 11 საათზე, გარდახდილ იქნება პანაშვიდი, რასაც განსვენებულის სახლობა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ (1.915.1

ამით ვაუწყებთ ჩვენს ნათესავებს და ნაცნობებს გიორგი დანიელის ძე და ბარბარე მიხეილის ასული ჭრელაშვილები, რომ კვირას, ამა გიორგობისთვის ექვსს, იქნება მეორმოცე დღე ჩვენი შვილის

მათეს

(ბრიუსელის (ჟამბლუს) სამეურნეო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტის) გარდაცვალებიდან. ზემორე აღნიშნულ დღეს იქნება გარდახდილი წირვა და პანაშვიდი მისის სულის მოსახსენებლად ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დასაწყისი დილის 10 საათზე. (1.18.1)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და ვიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—167,

ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილებაა მოწყობილი 50 საწოლით.
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, ვეტცელის“ სასტუმროსთან.
ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირალოვისა დ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

ბედოშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

დავითაშვილი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბავ. 10—12 ს.

ჭიჭინაძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

ჯანსუღაროვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ ყოველ დღე 1—1½ ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დეკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მაჭელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოზილევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულბუროვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ.—1089 601)

იატაკის საუკეთესო დასაგები
ლიბავის ლინოლეუმი
პრობკის მანუფაქტურის სააქციონერო ამხანაგობა
ვიკანდერის და ლარსონისა.
ტფილისის განყოფილება და საწყობი.
გოლოვინის პროსპექტი, № 9. სასტუმრო ორიანტის ქვეშ. ტელეფონი № 490. (7.1535 2)

ახალი კლუბი
შაბათს, 5 ნოემბერს,
მესამე კონცერტი
ს. ი. პრესმანის ლოტბაროობით და კოლოტოვისა და შჩერბაჩოვის მონაწილეობით.

ორკესტრი შეასრულებს: უვერტიურა ოპ. „გუარანი“, „Opiéntole“ ლიუბომირსკისა, ცეკვა ყიაზისა სენ-სანისა, რომანსი N 5 ჩაიკოვსკისა, ვალსი „ჩარდაში“—მალ. „კოპელია“, დელიბასი; უნგრული რაპსოდია N 2, ლისტისა; „ეკლესიაში“, ჩაიკოვსკისა; მექსიკანური სერენადა „Pizzicato“, ლანგერისა; „ჩურჩული ყვავილთა“, ბლომისა; ცეკვა ოპ. „ჯიოკონდა“, „საათი“—პონკიელისა. დასაწყ. საღ. 9 ს. გალერეიაში შესვლა ყველას შეუძლიან კლუბში შესვლის ფასის გადაუხდელად. ფასები გალერეიაში 10—40 კ., თეატრში ბენუარის ლოჟები 1 მ., ბელეტაჟი en fale 1 მ. 50 კ., გვერდისა 1 მ., ლოჟ 3 მ., პარტერში: 1 რიგი 1 მ., 2 და 3—75 კ., 4, 5, 6 და 7—50 კ., 8, 9, 10, 11 და 12—30 კ., დანარჩენი 20 კ., სტუმრები იხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ. 25 კ. კონცერტის შემდეგ ლოტო. (2—1514—2)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
კვირას, 6 ნოემბერს, 1911 წ. ქართული დრამატიული დასის არტისტი ნიკოლოზ გვარაძე გამართავს სალიტერატურო გასამართლებას ან. ფურცელაძის დრამის გმირის
გიორგი საკაძის.
გასამართლება მოხდება ან. ფურცელაძის დრამის მიხედვით.

მონაწილეობას მიიღებენ: ექ. ივ. გ. გომართელი, ნაფ. ვექ. ი. მაჭავარიანი (დამცველები), ნაფ. ვექ. კ. ი. ჯაფარიძე, ნაფ. ვექ. თან. გრ. ტ. გიორგაძე ქუთაისიდან (ბრალმდებელნი). სასამართლოს თავმჯდომარე ნაფ. ვექ. თან. შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი. გიორგი საკაძე—არტისტი ს. ივანიძე. სასამართლოს წევრები: ნაფ. ვექ. თან. ან. ბებურიშვილი და ს. ქავთარაძე. მდივანი—მ. ტორღუმლიძე.

დასაწყისი დღის 1 საათზე. ბილეთები ამთავითვე იყიდება კასაში.
(2—1574—2) ადმინისტრატორი ნ. გვარაძე.

ექიმი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინი.
შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. (თ 100—1534—20)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის
განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ასპიზოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ყაუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველდღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვ-ზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ითხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბ. ა. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს
საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ.—1526—15)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. ბობოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მაჭელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოზილევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
წამლობა „606“-ით.
(წთ.—1090—205)

ექიმი ი. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 1—27)

ექიმი ნ. ტ. მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 3. (თ.—1546—17)

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფ. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-მდე და საღამოს 6—7 საათამდე.
ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—31)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს. მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N
სახლი გაბაშვილისა.

ექიმი ზ. ნ. მამაკიანი
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და ნაწლევებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 328. 25—1442—65

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—48)

დოქტორი მედიცინისა
ი. ე. თიკანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნი ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.
საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—35)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები).
ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.6)

ექიმი კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი
მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 7-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სსვამს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპექტი, N 7. (50—1552—6)

1 ნოემბრიდან 1911 წ.
ქართველ ქალთა ამხანაგობის
სადგურში დაიწყება
ჭრა-კერვის კურსები საღამობით
იმათთვის, ვისაც დილა არა აქვთ თავისუფალი. დაწვრილებით ცნობები შეიძლება შეიტყოთ: ვერა, გაბაევის ქუჩა № 3. (5.898.4)

ტფილისი, 5 ნოემბერი

სიტყვა და საქმე.

გუშინწინდელ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი „სურჰანდაკ“-ისა საქალაქო არჩევნების შესახებ. სომხური გაზეთი საყვედურს უთვლის ქართველებს და ამტკიცებს, სომხების ერთი საუკეთესო თვისებათაგანი ის არის, რომ ნაციონალისტები და შოვინისტები არ არიანო. ქართველმა საზოგადოებამ კარგად იცის, რა ფასიც აქვს ასეთს მტკიცებას, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა თვით სომხურ გაზეთსაც ცოტა თვალხილულად შეეხედა სინამდვილისთვის და დაენახა მცირედი ნაწილი მაინც იმისა, რასაც სხვები ასე კარგად ხედავენ. შორს რომ არ წავიდეთ, იმ სიას მაინც მიაქციეთ ყურადღება, რომელიც ცენტრის ჯგუფმა გამოაქვეყნა ამ დღეებში. იმ უბნებში, სადაც ცენტრს უზრუნველყოფილი უმრავლესობა ჰყავს, მან თითქმის სულ სომეხი კანდიდატები დაასახელა. საკმაოდ ბლომად არიან დასახელებულნი ქართველთაგან პირველ საარჩევნო უბანში, სადაც რუს ამომრჩეველთა უმრავლესობა სავსებით უზრუნველჰყოფს ქართველ კანდიდატთა გაშავებას. ასეთს პირობებში გულწრფელობაზე ლაპარაკი, სრულიად მეტია.

სომხის შეძლებული კლასი დღეს, მახინჯ საარჩევნო სისტემის წყალობით, უმრავლესობას შეადგენს და კიდეც სარგებლობს თავის უპირატესობით. სარგებლობს ხოლმე თავის უპირატესობით არა მარტო აქ, ტფილისში, არამედ ყველგან, სადაც იგი უმრავლესობას შეადგენს. სხვა რომ არა იყოს რა, თელავის არჩევნები და მისი შედეგი ჯერ კიდევ არ ამოფხვრილა ჩვენის მეხსიერებიდან.

აჩიკებულ საბუთებით ჰსურს დაამტკიცოს „სურჰანდაკს“ თავისი ინტერნაციონალისტობა. თავ.-აზნაურობის ბანკი სომხის ფულებით იკვებება, მაგრამ სომხებს არასოდეს არ მოუსურვებიათ ამ ბანკის ხელში ჩაგდებაო. გავკადნიერდებით და მოვახსენებთ „სურჰანდაკს“, სომხები უარს არ იტყოდნენ ამ ბანკის ხელში ჩაგდებაზე, რომ შეეძლოთ. მაგრამ მართალიც რომ იყოს ის, რასაც „სურჰანდაკი“ ბრძანებს, ეს არგუმენტი სიცილის მეტს ვერაფერს გამოიწვევს. ჩვენ რომ სავაჭრო სახლი გავხსნათ და ეს სახლი სომხის მუშებმა გაამდიდრონ, ნუ თუ „სურჰანდაკი“ მოითხოვს მოგებულ ფულის დარიგებას სომხებში? ვინ დააკისრებდა ასეთს მოვალეობას სავაჭრო სახლს? ბანკიც ვალდებული არ არის ასეთს გარემოებას ანგარიში გაუწიოს, და ამიტომ ტყუილად გვამადლის „სურჰანდაკი“. შეიძლებოდა ამ არგუმენტისათვის სრულიად არავითარი ყურადღება არ მიგვექცია, სხვაფრივ რომ არ იყოს იგი საინტერესო. როდესაც „სურჰანდაკი“ ბანკსა და ქალაქის თვითმმართველობას ერთნაირ კატეგორიის დაწესებულებად სთვლის, არ შეგვიძლიან იგი უყურადღებოდ დავსტოვოთ.

ამ მსჯელობით ცხადი ჰხდება, რომ გაზეთი „სურჰანდაკი“ ისე უცქერის ქალაქის თვითმმართველობას, როგორც განსაზღვრულ საზოგადოებრივ ჯგუფის კერძო საკუთრებას. ვულგარულად, ნიღაბ-ახდილად რომ გამოვსთქვათ „სურჰანდაკის“ აზრი, შემდეგს მივიღებთ: თუმცა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკი უმეტეს შემთხვევაში სომხითა ქონებით საზრდოობს, მაგრამ ჩვენ მაინც არ ვერევით ამ ქართულ დაწესებულებაში. თუმცა ქართულ გიმნაზიის აშენების დროს კომიტეტმა არც ერთი სომეხი მუშა და ხელოსანი არ დაიქირავა, მაგრამ ამასაც გაპატიებთ, აკეთეთ თქვენი ქართული საქმე. სამაგიეროდ, როდესაც ჩვენს სომხურ ქალაქის თვით-მმართველობაში მხოლოდ სომხებს ვაძლევთ უპირატესობას, თქვენც ნუ გაჯავრდებით. ნუ გაჯავრდებით, თორემ ნაციონალისტებს დაგიძახებთ.

ეს თვალსაზრისი საშუალო საუკუნოების ფეოდალის თვალსაზრისია. სომხებს, როგორც ეკონომიუ-

რად ღონიერს ხალხს, დღეს უპირატესობა აქვთ ქალაქის თვით-მმართველობაში. ხანგრძლივს ბატონობაში, როგორც „სურჰანდაკ“-ის წერილიდან სჩანს, განუმტკიცებია სომხის საზოგადოების ერთს ნაწილში აზრი, თითქოს ქალაქის თვითმმართველობა მემკვიდრეობით გადმოსული ქონებაა, რომელსაც ხელს ვერავინ შეახებს. ვწუხვართ, რომ „სურჰანდაკს“ ასეთი შეხედულება ჰქონია. ქალაქის თვით-მმართველობა სომხების კერძო საკუთრება არ არის, და დღეს თუ არა, ხვალ მაინც იგინი იძულებულნი გახდებიან ან გარიში გაუწიონ ქართველებსაც, როგორც ტფილისის საქმეებით დაინტერესებულ ერს.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

(გაგრძელება).

სადამოს სხდომაზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კოკოვცევმა უპასუხა მოუსავლობით დაზარალებულთა საჭირო დახმარების მიუცემლობაზე შეკითხვის შემტანელთ. მან ორ საათს ილაპარაკა. აღნიშნა, მაისის დამლევამდე კარგი მოსავლის იმედი იყოო. პირობები დამლევს, და განსაკუთრებით ივნისში, ძლიერ შეიცვალა. საერთოდ მოუსავლობაა 20 გუბერნიაში. ევროპის რუსეთის რვა გუბერნიაში 1910 წელს 706 მილიონი ფუთი პური მოვიდა, წელს 221. საშუალო რიცხვი ამ ხუთის წლის მოსავალისა 605 მილიონ ფუთს უდრის. ზარალი, საშუალო რიცხვთან შედარებით, 63 პროცენტს შეადგენს. საბედნიეროდ 1911 წლის მოუსავლობა წინა ორის წლის დიდ მოსავლით გამოისყიდება და იმპერიაში პურიც ძლიერ ბევრია. დაზარალებულ გუბერნიებში მცხოვრებთა რიცხვი დაახლოვებით — 19,500,000 კაცია. ამათში დახმარება მხოლოდ 8,200,000 კაცს დასჭირდება. ძველი წესი დაზარალებულთა დახმარებისა უვარგისი იყო და სახელმწიფოს 220 მილიონი მანეთი ვალიც დაედვა. ამიტომ ეხლა სხვანაირად მოვაწყეთ საქმე და საზოგადო სამუშაოები დავაწესეთ. ამასთანავე მთავრობამ ფულის დახმარებაც გასცა, სადაც საზოგადო სამუშაოები არ კმაროდა. მთავრობამ, მიუხედავად დაგვიანებისა, მაინც მოასწრო გლეხებისათვის სათესლე მიეწოდებინა. მთავრობის დახმარებით იყიდეს 4 მილიონ ნახევარი ფუთი სათესლე. საზოგადო სამუშაოც 44 მილიონამდე დაჯდა. ჩვენ გვინდა ბაზარზე პურის ფასი არ ავწიოთ და ამიტომ ცოტ-ცოტას ვაგროვებთ არც ჩქარება ვარგა, სადაც საჭირო არ არის.

შემდეგ საზოგადო სამუშაოებს ეხება და აღნიშნავს: ამ ტრიბუნიდან არა ერთხელ დაუგმიათ ფულის საჩუქრად გაცემის უვარგისობა და ამიტომ ეხლა ამის გმობას აღარ შევუდგებიო. აი, ამ მოსაზრებამ დაჰბადა საზოგადო სამუშაოს მოწყობის აზრი. რასაკვირველია, ძნელია ცოტა ხანში ისეთი სამუშაოების მოწყობა, ხალხს 40 მილიონი მანეთი შეჰმატოს პურის საყიდლათ. ამის და მიუხედავად გაჭირვებულთა 23 პროცენტმა უკვე 5 მილიონ ხუთას ორმოცდა თვრამეტი ათასი მანეთი მოიგეს. საეროობო დაწესებულებანიც ყველგან ამ საქმეში დიდ მონაწილეობას იღებენ. მთავრობას (ტყუილი იმედი?) არა აქვს, ილუზიებს არ მისდევს. თუ გაჭირვებულთა ნაწილი მაინც დააკმაყოფილა საზოგადო მუშაობამ ესეც კარგია. ქველმოქმედებაში მთავრობა, რასაკვირველია, მხოლოდ შუამავლის როლს კისრულობს და, მაგალითად, „წითელ ჯვარს“, საჭირო თანხა, 4 მილიონი და სამასი ათასი მანეთი მისცა. ქველმოქმედებათ - ითვლება განსაკუთრებით სასადილოების დაარსება, სამედიცინო დახმარება და სხვა.

კოკოვცევი შემდეგ ეხება დაზარალებულ გუბერნიების მცხოვრებთა ჯანმრთელობას. აღნიშნავს, რომ ექიმთა ინსპექტორობის და გუბერნატორებისაგან გამოგზავნილი ცნობები სრულიად ეწინააღმდეგება გაზეთებისაგან გავრცელებულ ამბავსა. საზოგადოდ, გასულ წელთან შედარებით, ავადმყოფობამ იკლო, მხოლოდ „ცინგით“ ავადმყოფთა რიცხვს მოემატა 303 კაცით. ყველა ეს ამტკიცებს. რომ ისე არ გაძლიერებულა შიმშილი, რომ ხალხს რაიმე დიდი უბედურება მოელოდეს. გაზეთები ყოველთვის შიმშილობის საშინელ შედეგს აწერენ და ერთი ფაქტიც არ გამართლებულა (მარცხნივ ძახილია: „ბალაგანია!). ბალაგანი კი არა, უფრო სერიოზული რამაა და ტყუილად წარმოსთქვეს ეგ სიტყვა. ვიცით რისთვის აწერენ ყოველ დღეს: „შიმშილი, „ცინგა“, „ეპიდემია“, „შიმშილით სიკვდილი“ და სხვა. ყველა ეს მთავრობის სახელის გასატეხად არის გამოგონილი, შეხედეთ ხალხს შიმშილითა ჰხოცსო. პრესა იქით უნდა მიგვიწვევდეს, სადაც დახმარება მართლა საჭიროა და ნუ მოგვაგონებს კრილოვის არაკს „მწყემსსა და ცხვარს“ (ცენტრი და მემარჯვენენი მოწონებას აცხადებენ) სათესლეზე, ზრუნვისა საზოგადო სამუშაოების მოწყობასა და ფულის გაღების გარდა, მთავრობამ ყურადღება მიაქცია დაზარალებულთა საქონლის გამოკვებასაც. ბევრ გუბერნიებში თვით. დახმარება აღმოუჩინა მთავრობამ. ძლიერ დაზარალებულ გუბერნიებში ზოგიერთ გადასახადს ჯერ არ ვჰკრეფენ. ბევრგან მოვაწყეთ საკრედიტო ორგანიზაციები. ისეთი გუბერნია არ არის, სადაც სახაზინო გადასახადის აკრეფა ეკონომიურ მდგომარეობის მიხედვით რა ჰხდებოდეთ მცხოვრებთ. იტყვიან, მხოლოდ კარგს იტყვით, არასასურველს მიჩქმალავთო და ამიტომ არაფერი სთქვით სარატოვის გუბერნატორის მიერ გადასახადის აკრეფის თაობაზე გამოცემულ ცირკულიარის შესახებაო. მაგრამ ეს ცირკულიარი ჯერ არც კი გამოსული ყო, რომ გავაუქმეთ. ხალხის მდგომარეობა აქვს მხედველობაში მიღებული საგლეხო ბანკსაც. იგი თხოულობს, სადაც თხოვნა შეიძლება. იგი დაზარალებულ რაიონებში ოთხ, ოთხ-ნახევარ მილიონს ვერ აიღებს, ბანკმა ეს კარგად იცის, ამისთვის ემზადება და არც ისეთ ზომებს მიიღებს, რომ მოვალე განადგურდეს.

მთავრობამ იცის, რომ სამხედრო წოდებისათვის ცოტა ფულია გადადებული და ამიტომ გადასწყვიტა, კაზაკებსაც დაჰხმარებოდა ხაზინიდან. მათ ცხენებისთვისაც უნდა მიეცეთ საკვები. კაზაკებისთვის 8 მილიონამდეა გადადებული. სულ რომ ვიანგარიშოთ, დასახარჯი 120 მილიონამდე იქნება. შეიძლება ეს ცოტა მოჭარბებულიც იყოს. ნახევარი ამ ფულისა უკვე გაცემულია და არც დაგვიანება ყოფილა.

დასასრულ მინისტრმა განაცხადა: უფლება მაქვს სოც. დემ. შეკითხვას ერთის თვის შემდეგ ვუპასუხოო. ამას არ ვიზამ და ახლავე განვმარტავ. შეკითხვა როგორც ყოველთვის, ამ სიტყვებით თავდება: „იცის თუ არა მინისტრმა რომ მიღებული ზომები საკმაო არ არის და არც არსებულ კანონებს ეთანხმება“. რასაკვირველია, იცის, იცის რომ მისგან მიღებული ზომები არ ეთანხმება 1900 წლის გამოცემულ წესებს. იქ არც საზოგადო სამუშაო არის აღნიშნული, არც საქველმოქმედო დახმარება, არც ექიმობა. რაც შეეხება მეორე კითხვას: „იცის თუ არა მთავრობამ, რომ მისგან მიღებული ზომები საკმაო არ არისო“,— შემდეგს ვუპასუხებთ: არა, არ იცის, რადგან მთავრობას ჰგონია, რომ მან დროზე აასრულა მოვალეობა და არც შეეძლო იმაზე მეტის გაკეთება, რაც გააკეთა (ცენტრისა და მემარჯვენე პარტიის ყველა წევრები ხანგრძლივ ტაშს უკრავენ).

მინისტრის განმარტების თაობაზე მსჯელობა ექნებათ 9 ნოემბერს, სადამოს სხდომაზე.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კავკასიის „ნეკროპოლი“.** მოსკოვის საარქეოლოგიო ინსტიტუტის საპატიო წევრს, ცნობილს მწავლულ-არქიოლოგს ვ. ი. ჩერნოპიატოვს საინტერესო წიგნის შედგენა განუზრახავს. წიგნში შევა კავკასიის გამოჩენილ მოღვაწეთა (ყველა წოდების) ძეგლების წარწერანი და აგრეთვე მეტრიკული ცნობები ამ მოღვაწეთა შესახებ. ბ-ნი ჩერნოპიატოვი ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორას სთხოვს, უშოვოს თანამშრომელნი, რომელნიც შესაფერ მასალის შეგროვებას იკისრებენ. თითო წარწერისა, ან მეტრიკულ ცნობაში 2½ კაპ. მიეცემათ.

◆ **საქართველოს საეგზარხოსოს** მართვა გამგეობას, პეტერბურგში ექსარხოსის წასვლის გამო, ბაქოს ეპისკოპოსი პიმენი და ალავერდის ეპისკოპოსი დავითი შეუდგნენ.

◆ **ნათლისმცემლის მონასტრის** წინამძღვრად, ნაცვლად დარიის მონასტრის წინამძღვრად გადაყვანილ არქიმანდრიტ ანტონისა, კლევანის (ვოლინის ეპარქია) სასულიერო სასწავლებლის მეთვალყურე იღუმენი ნაზარი (ლეჟავა) დაინიშნა.

◆ **უწ. სინოდმა ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორას** მისწერა: მღვდლებს, რომელნიც პალესტინაში მიდიან წმ. ადგილების თაყვანის საცემლად, სხვა მოწმობებთან ერთად უნდა მიეცეთ მოწმობაც იმისი, რომ მათ მღვდელთ-მსახურება აღკრძალული არა აქვთო.

◆ **მართლმადიდებელთა სია.** საქართველოს ექსარხოსმა მღვდლებს დაავალა, შეადგინონ და წარუდგინონ მას ტფილისში მცხოვრებ მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა სია.

◆ **ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ** სინოდისგან შემდეგი ცნობა მიიღო: იმ პირთ, რომელნიც ქორწინებისა, ან რაიმე სხვა მიზეზით ეკლესიიდან განდგნენ, კვლავ შეუძლიანთ ეკლესიაში დაბრუნება ადგილობრივ საეპარქიო არქიელის ნებართვითაო.

◆ **სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე** ამ ჟამად ბ-ნ ჰ. ქანტურიშვილის ახალ პიესას „მორევში“-ს ამზადებს დასადგმელად. ამ პიესისთვის დეკორაციებს საგანგებოდ ახატვინებს.

◆ **პენსიები მღვდლებს.** უწმ. სინოდმა პენსიები დაუნიშნა: ტფ. მაზრის სოფელ პატარა თონეთის მღვდლად ნამყოფს მ. თეთრაძეს— 300 მან. წელიწადში, გორის მაზრის სოფელ ფლის მღვდელს (შტატს გარეშე) ალ. ჩიტაძეს—300 მან.

◆ **დუშეთის მაზრის მეორე საბლაღოჩინოს** ბლაღოჩინად მღვდელი სვ. ტყემალაძე დაინიშნა.

◆ **საქართველოს საექსარხოსოს მონასტრების ბლაღოჩინი არქიმანდრიტი ანტონი** გუშინ კობინის მონასტრის სარევიზიოდ გაემგზავრა.

◆ **საქალაქო არჩევნები.** ტფ. გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის გამგეობის დადგენილება, რომლითაც საქალაქო არჩევნები 20 ნოემბერს უნდა დაიწყოს.

6 ნოემბერს ბირჟის დარბაზში ამომრჩეველთა ცენტრალურ ბიუროს კრება მოხდება კანდიდატთა საბოლოო სიის შესადგენად.

◆ **ესპერანტოს ენაზე** მოკლე ხანში წარმოდგენა და კონცერტი გაიმართება.

◆ **ბიბლიოთეკა.** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა მიხაილოვში ბიბლიოთეკის გახსნის თაობაზე.

საზოგადოებანი და კრებები.

◆ **მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების** საბჭომ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა: 1) დაამტკიცა საზოგადოების 1912 წლის ხარჯთაღრიცხვა (შემოსავალი), რომელიც ნავარაუდევია 135,000 მან., 2) გადასდოს ლიხნევის სკოლის მეორე მასწავლებლის შესანახად 360 მან., 3) გადასდოს ეკლესიების ასაშენებლად 1912 წელს 11,500 მან., 4) მადლობა გამოეცხადოს 500 მან. შეწირვისათვის დიდს მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძეს, 5) დაუნიშნოს 100 მან. შემწეობა მედავითნეთა სკოლის და 6) გადაიდოს 1,500 მან. სასულიერო ჟურნალის „კავკაზსკი ბლაგოვესტნიკ“-ის გამოსაცემად.

◆ კვირას, 6 ნოემბერს, დილის 8 ნახ. საათზე დანიშნულია **ეკლესიის მნათის** (სტაროსტის) არჩევნები **ნაძალადევის** ეკლესიაში.

◆ **ქალაქის საბჭოს კრების** გაგრძელება 3 ნოემბერს მოხდა ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. ა. ი. ხატისოვმა ჯერ აღნიშნა ღვაწლი ახლად გარდაცვალებულ მოღვაწის, ქალაქის საბჭოს ხმოსნად ნამყოფ ნ. ზ. ცხვედაძისა და შემდეგ ხმოსნებს სთხოვა, ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულის ხსოვნისათვის, რაიც შესრულებულ იქმნა. დიდხანს ითათბირეს ხმოსნებმა მომავალ არჩევნების წეს-რიგის თაობაზე. ხმოსანთა ერთი ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ ბარათებზე არჩევნების დროს დაესახელებინათ იმდენი კაცი, რამდენი ხმოსანიც არის ასარჩევი, [illegible] მეორენი უმჯობესად სთვლიდნენ ამ ბარათებზე იმდენი კაცის დასახელებას, რამდენიც ხმოსანი და კანდიდატია საჭირო. საბჭომ უკანასკნელი წინადადება მიიღო.

სასწავლებლებში

◆ **ტფ. გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა** გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა სოფ. წრომის (გორის მაზრა) საზოგადოების განაჩენი ამ სოფელში ერთკლასიან სკოლის დაარსების შესახებ.

სასამართლო.

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს** სისხლის სამართლის საქმეთა პირველ განყოფილების სესია ახალქალაქს გაემგზავრა, სადაც 10 ნოემბრამდე დაჰყოფს.

◆ **რედაქტორის საქმე.** 3 ნოემბერს ტფ. სასამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაარჩია საქმე აწ დახურულ ქართულ ყოველ-დღიურ გაზეთის „საქმე“-ს რედაქტორის გ. ყორანაშვილისა, რომელიც სამართალში მიცემული იყო სასჯელთა დებულების 129 მუხლის 1 ნაწილის მეორე პუნქტის ძალით. სასამართლომ ყორანაშვილი დამნაშავედ იცნო და ერთის წლის ციხე გადაუწყვიტა. ამასთანავე დაადგინა, სასჯელში ჩაეთვალოს 10 ნახ. თვის ციხეში ჯდომა საქმის გარჩევამდე.

◆ **პოლიტიკური საქმე.** 3 ნოემბერს ტფ. სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე მარტიროს მირაქოვისა, რომელსაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრობა და ასაფეთქებელ ნივთიერებათა შენახვა ჰბრალდებოდა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო მირაქოვი სასჯელთა დებულების მე-102 მუხლის მეორე ნაწილის ძალით და ოთხის წლის კატორღა გადაუწყვიტა.

სოხუმი

◆ 31 ოქტ. ქალაქის გამგეობის დარბაზში შესდგა **ხმოსანთა მორიგი სხდომა.** ქალაქის მოურავის მოადგილემ ბ. ა. მაჭავარიანმა სხდომის გახსნის შემდეგ წაიკითხა წინა სხდომის ოქმები, რომელიც მცირე შესწორებით დაამტკიცეს. ამის შემდეგ სხდომა მალე შეუდგა ქალაქის გამგეობის ერთი წევრის არჩევას.

წინადადება შემოქვთ, რომ არჩევნები შემდეგი სხდომისათვის გადაიდოს. წინადადებას სხდომა უარჰყოფს. ქალაქის მოურავის მოადგილე სხდომას ეკითხება,—„აქვთ თუ არა უფლება კენჭი იყარონ იმ კანდიდატებმა, რომლებმაც წინა არჩევნებზე იყარეს კენჭი“? სხდომა ხმის უმეტესობით ადგენს, რომ მათაც აქვთ უფლება აირჩიონ და არ-

კოოპერატიული მოძრაობა დასავლეთ ევროპაში

შემდეგი *)

2.

პირველი სახალხო ბანკი დაარსდა ქალაქ ლოდიში 1863 წელს. ახალგაზდა ვექილმა ტ. ჯალიმ, გაიცნო რა შინაარსი ლუცატის მიერ გამოცემულ წიგნაკისა (ლუცატი მაშინ პროფესორი იყო მილანში) კოოპერატიულ სესხზე, სულით და გულით შეეთვისა ამ იდეას. მან მოიწვია პროფესორი ლუცატი ლექციის წასაკითხავად ლოდიში. ლუცატიმ დიდის ხელოვნებით წაიკითხა ლექცია ამ საგანზე დიდძალ აუდიტორიის წინაშე და ძლიერი შთაბეჭდილებაც მოახდინა. შედეგად ამ ლექციის და ახალგაზდა ვექილის პროპაგანდის მოჰყვა ის, რომ 1 მარტს 1863 წ. დაარსდა პირველი სახალხო ბანკი იტალიაში. 1865 წ. ბანკში ითვლებოდა 402 წევრი, ხოლო 1900 წ. წევრთა რიცხვი 7,774 მდე ავიდა 1,640,400 ლირა ძირითადი თანხით. თავდაპირველად თითო პაის შეძენის მეტი არვის შეეძლო, მაგრამ შემდეგ გამოცვალეს ეს წესი და ერთის ნაცვლად პაის რიცხვი ორმოცამდე აიყვანეს თითო წევრზე. ამ ბანკს 1908 წ. სათადარიგო ფონდი ჰქონდა. (მესამე ფონდი „პატიოსანი სიტყვის“ მოვალეებისათვის არსებობს) 1,163,661 თანხით. 1809 წ. ამ ბანკს მიაბარეს 20,521,256 ლირა, რაიცა შეიტანეს 18,756 წიგნაკით. 1908 წ. აპრილში შემოღებულმა „საოჯახო ყულაბებმა“ იმავე წლის დეკემბერში 28,573 ლირა შემოიტანეს. ბანკმა თავდაპირველადვე დაატყო, რომ სოფელი ქალაქში „არ მიდის“ და ჯერ კიდევ 1869 წ. მიჰყო ხელი განყოფილებების დაარსებას და დღეს 14-მდე განყოფილება ექნება. თვის მრავალწლიური არსებობის ხანაში ბანკმა დიდი სიკეთე მოუტანა მთელს კუთხეს. წყალდიდობის ზარალი 1878 და 1907 წლებში თვალსაჩინოდ იქმნა შემსუბუქებული გძელვადიან სესხის გაცემით სრულიად უმნიშვნელო სარგებლით. ამ ბანკმა დააარსა ერთს სოფელში კოოპერატივი ოთხფეხ საქონლის დასაზღვევად და თვით ქალაქ ლოდიში გახსნა დიდი საწყობი ყველისა.

მატერიალურად ეხმარება კოოპერატივებს, საამშენებლო ამხანაგობათ, სამკითხველოებს. ბანკი აწვდის ყველა მცხოვრებთ ახლად გამოგონებულ მეტად მოხერხებულ რკინის ფეჩებს საჭმლის მოსამზადებლად. მარტო 1909 წელს ბანკმა გასცა 19,604 ლირად ღირებული ფეჩები...

1865 წელს დაარსდა ქალაქ მილანში მეორე სახალხო ბანკი. ამ ბანკის დამაარსებელი იყო თვით ლუცატი, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა ამ ბანკს 1869 წლამდე, სანამ მინისტრის ამხანაგად არ იქმნა დანიშნული. 1909 წლის დამლევს ბანკს ჰყავდა 25,519 წევრი 194,514 პაით. პაი ღირს 50 ლირა. სათადარიგო ფონდში გადადის ყოველ წლიური მოგების 20%, პაის თანხა უდრის 9,725,700 ლირას, სათადარიგო 4,864,850 ლირას. 1909 წელს ბანკმა გასცა 1,590 სესხი—სულ 2,309,338 ლირისა. გადაახურდავა 255,901 თამასუქი 138,484,330 ლირისა. ბანკში ირიცხება 109 მოსამსახურე. საპენსიო და დამხმარებელი კასა მოსამსახურებისა უდრის 1,836,770 ლირას. თავის 44 წლის არსებობაში მილანის ბანკს არც ერთი საზარალოდ დასრულებული წელიწადი არ ახსოვს. ამ ხნის განმავლობაში პაის პატრონებმა მიიღეს დივიდენდი 42,719,595 ლირა, მოსამსახურეთ 4,783,006 ლირა და საქველ-მოქმედოდ გაიცა 442,520 ლირა. ამის გარდა ბანკმა დახარჯა კიდევ 211,000 საკულტურო და საქველო საქმეებისათვის, ააშენა საპედაგოგო ინსტიტუტი, თვალის საავადმყოფო, სახალხო სანატორია, და უფასო სამკითხველოები.

შემდეგ, ყველაზე დიდ სახალხო ბანკად ითვლება ბოლონის ბანკი. იგიც 1865 წ. დაარსდა. პირველ ხანებში ბოლონის მოქალაქენი მეტად გულცივად მოეპყრნენ ამ ახალ დაწესებულებას და ცუდი თვალით უცქეროდნენ მას. მაგრამ 1866 წ. ლუცატის მოსვლას და მის ლექციებს თან მოჰყვა საზოგადოების მეტი ყურადღებაც და პაის თან და თან მოემატა მთხოვნელი. დღეს კი მარტო სათადარიგო თანხა აქვს ამ ბანკს 2,150,715 ლირა. შესანახად მიაბარეს 1909 წელში 20,327,144 ლირა. აღსანიშნავია, რომ ეს ბანკი, თუმცა 9% ავალებს თანხას, მაგრამ კოოპერატიულ დაწესებულებათ წინად 7% მეტს არ ახდევინებდა, ხოლო ამ ბოლო დროს 5% ჩამოვიდა. სოფლის მეურნეობისათვის სარგებელი 4,5% არ ასცილებია, ხოლო ადგილობრივ წვრილ—მესაკუთრეებისაგან ბანკს არასდროს 4,25% მეტი არ აუღია. 1873 წელს ამ ბანკმა პირველად გადასდო 2,000 ლირა იმ ფონდისათვის, რომელიც უნდა გასძღოლოდა „პატიოსან სიტყვით“ გაცემულ სესხს. ეს თანხა 1909 წელს 14,810 ლირა გაიზარდა. ამავე წელიწადში იქმნა დაარსებული ფონდი სოფლად ხელოსნობა—წარმოების გასაუმჯობესებლად, ამ ფონდში დღეს 60,396 ლირა ირიცხება. მოსამსახურეებისათვის საპენსიო და დამხმარებელ ფონდების გარდა არის სპეციალური ფონდი, რომლიდანაც შეიძლება სულ უმნიშვნელო სარგებლით ფულის გამოტანა. ლ. ლუცატის პატივისცემის აღსანიშნავად ბანკმა დანიშნა განსაკუთრებული კომიტეტი და მის განკარგულებაში გადასდო 1906 წელს 300,000 ლირა, რომ აეგულ ყოფილიყო მთელი რიგი სახლებისა იაფი სადგომებით. ამ ფულს თან და თან მიემატა და საერთოდ ბანკმა ამგვარ სახლების ასაშენებლად 650,000 ლირა გადასდო. დღეს ამ ფულების ნაწილით აშენებულია უკვე ექვსი დიდი სახლი. სადაც მოთავსებულია 190 ხელმოკლე ოჯახი. მალე დასრულებული იქნება კიდევ ხუთი ამგვარი სახლი. ამ სახლებს შუა მოთავსებული იქმნება სავაჭრო და სანოვაგის მაღაზიები, აფთიაქი, სამკითხველო და სხ.

ბანკის თავმჯდომარედ არის სენატორი და ყოფილი მოურავი ქალაქ ბოლონისა ა. დალოლიო,

ბოლონში არსებობს აგრეთვე მეორე კოოპერატიული ბანკი 10,526 წევრით, 1882 წელს დაარსებული მაგრამ ამ ბანკს არა აქვს ასეთი საზოგადოებრივი მნიშვნელობა როგორც პირველს.

სახალხო ბანკი კრემონში გაიხსნა 1 თებერვალს 1866 წელს 2,075 თანხით. 1908 წელს წევრთა რიცხვი 10,920 იყო. პაის თანხა უდრის 3.289,550 ლირს, სათადარიგო 2,096,400 ლირს 1908 წელში მიბარებული იქმნა 43,000,000 ლირა. ბანკს აქვს ექვს სოფელში განყოფილებანი და მათ აწარმოებენ ადგილობრივ საზოგადოებათაგან არჩეული სანდო პირები. კომუნებს, სასოფლო საზოგადოებათ, საზოგადო დაწესებულებებს სესხი ეძლევათ 4 პროც. მუშებს, გლეხებს, მოსამსახურეთ 3½ პროც. 1908

---

*) იხ. „სახ. გაზეთის“ № 442.

ჩეულ იქმნენო. ბარათებით ასახელებენ კანდიდატებს: ბ. ანჩაბაძე 16 ბარათით, ბ. ცეცხლაძე 13 ბარათ., ბ. პრიობრაჟენსკი 6 ბარ., ბ. იურლოვი 1 ბარათ., ბ. თურქია 1 ბარათ., ბ. კალანდარაშვილი 1 ბარ.

კენჭის ყრაზე პირველ ორის გარდა უარი განაცხადეს. ბ. ანჩაბაძეს ამოუვიდა 20 თეთრი და 18 შავ., ბ. ცეცხლაძეს 15 თეთრი და 23 შავი. ამნაირად ქალაქის გამგეობას წევრის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ბ. ტ. ანჩაბაძე.

◆ **აფხაზთა-შორის განათლების გამავრცელებელმა საზოგადოებამ** 30 ოქტომბრის კრებაზე დაადგინა: ა) იშუამდგომლოს ქალაქის გამგეობის წინაშე, დაუთმოს საქალაქო მიწა, აფხაზ ბავშვთა თავშესაფარის ასაშენებლად; ბ) საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად 21 ნოემბერს სამურიდის თეატრში გაიმართოს წარმოდგენა.

◆ 7 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია ქალაქის **საბიბლიოთეკო კომისიის კრება.**

◆ ქალაქში წყლის დიდი ნაკლულოვანებაა: არც-ერთ მილში საკმაო წყალი არ მოდის.

◆ ზღვის ქუჩაზე ხარიტიდის საზეინკლო სახელოსნოში, **იარაღის საწყობი** აღმოაჩინეს. ნახული იარაღი 33 რევოლვერი და 3 ბერდანის სისტემის თოფი წარუდგინა ოლქის უფროსს. ხარიტიდი დააპატიმრეს.

◆ 29 ოქტომბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში შესდგა **ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის კრება.** კრებამ მსჯელობა გამართა ქართულ სკოლაში ავადმყოფობის გაჩენის შესახებ. ბევრი იმ აზრისა იყო, რომ სკოლა სხვა ბინაზე გადაეტანათ, მაგრამ უსახსრობისა გამო, ისევ ძველ ბინაზე დატოვეს. ბინას დეზინფექციას გაუკეთებენ და მეცადინეობას განახლებენ 7 ნოემბრიდან.

გამგეობამ დაადგინა, რომ საწევრო ფული მოიკრიფოს.

◆ გარდა ამისა გამგეობამ აღიარა, რომ საკუთარი სკოლის შენობა მალე შეფერხდება რადგანაც ფული აღარ არისო. ამაზე მსჯელობის შემდეგ შესაძლებლად სცნეს, მიმართონ ბარეთით,—დიდად პატივცემულ ქველ-მოქმედ ეკატერინე რევაზის ასულს სარაჯიშვილისას; აუხსნან ეს გარემოება და სთხოვონ დახმარება.

◆ 30 ოქტომბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში შესდგა სოხუმის **ქართული დრამატიულ წრის საზოგადო კრება.** კრებამ მსჯელობა იქონია იმაზე, თუ, როგორი გზით შეიძლება წრის ლეგალური არსებობა. ორატორთა ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ წრე შეუერთდეს სახალხო უნივერსიტეტს; მეორე ნაწილი კი ამტკიცებდა, უმჯობესია წრე ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას შეუერთდესო. ბევრი კამათის შემდეგ კრებამ უკანასკნელი წინადადება მიიღო.

საზოგადო კრებამ იმსჯელა აბონემენტურ წეს-რიგზე და სასურველად სცნო განხორციელდეს აბონემენტური წესი.

კრებამ ამოირჩია: ახალი გამგეობა, სარეპერტუარო და სარევიზიო კომისიები

◆ 5 ნოემბერს სამურიდის თეატრში ქართულ დრამ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ფულდის „ჩერჩეტი“.

ნ. ზ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო

ქვაშვეთის ეკლესიაში წირვის დროს ქართულ საფილარმონიო საზოგადოების მომღერალთა და ქართულ გიმნაზიის მოსწავლეთა შეერთებული გუნდი გალობდა, წირვის დროს შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს ალავერდის ეპისკოპოსმა დავითმა და სამების ეკლესიის მღვდელმა ვ. კარბელაშვილმა.

3 ნოემბერს **ნ. ზ. ცხვედაძის დაკრძალვის დღეს,** სწავლა არ ყოფილა ტფ. ქართულს სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში წერა კითხვის საზოგადოების დაწესებულებანიც დაკეტილი იყო.

3 ნოემბრისთვის ქართულ თეატრში დანიშნული წარმოდგენა „კლდე“ **ნ. ზ. ცხვედაძის დაკრძალვის** გამო 6 ნოემბრისთვის გადაიდო.

სამგლოვიარო დეპეშები:

სოხუმი. ქართველობა ძლიერ შეაწუხა დაუღალავ საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძის დაკარგვამ. **თავდგირიძე.**

თელავის განყოფილება წ. კ. საზოგადოებისა დამწუხრებულია ქართველ ხალხში განათლების გამავრცელებელ თვალსაჩინო მოღვაწის ნ. ზ. ცხვედაძის გარდაცვალებით. კვირას პანაშვიდს გადავიხდით.

წ. კ. განყოფილების გამგეობა.

ხაშური. გარდაეცით განსვენებულ ნიკოს დას ჩემი გულითადი თანაგრძნობა მის ძვირფას ძმის და ჩემ საუკეთესო ამხანაგ-მეგობრის დაკარგვის გამო. **ვ. ითხელიანი.**

ქუთაისის ქართულ სკოლის მასწავლებელნი ულრმეს მწუხარებას ვაცხადებთ, ნ. ზ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო. „წერა-კითხვის“ საზოგადოებას განსვენებულის დაკარგვით საუკეთესო მუშაკი მოაკლდა.

ვარლამ ბურჯანაძე.

ძველ-სენაკის სათავად-აზნაურო სკოლა გულითად მწუხარებას აცხადებს გულმოდგინე ქართველ საზოგადო მოღვაწის ნ. ზ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო.

გვირგვინები

განსვენებულ მოღვაწის ნ. ზ. ცხვედაძის კუბოს 30-დე გვირგვინი ამკობდა. გვირგვინები იყო შემდეგ დაწესებულებათაგან და პირთაგან:

1) გულწრფელ მამულიშვილის ნიკოლოზ ზებედეს ძის ცხვედაძის ძვირფასს ხსოვნას“ ტფილისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურობისაგან (ვერცხლის)“; 2) „ძვირფას მასწავლებელს დაუვიწყარ ნიკოლოზ ცხვედაძეს“ პავლე იოსების ძე თუმანიშვილისაგან (ვერცხლის); 3) „დაობლებული სული ჩემი ეთაყვანება მეგობართა სულის ერთობას“ ეკატერინე სარაჯიშვილისაგან; 4) „სამაგალითო მოღვაწეს, იშვიათი მხნეობით ალჭურვილს მამულიშვილს და ჩემს გულითადს მეგობარს ნიკო ცხვედაძეს“ იაკობ გოგებაშვილისაგან; 5) „ჩვენს უანგარო მოჭირნახულეს ნიკოლოზ ცხვედაძეს“ ქართული გიმნაზიის მოწაფეებისაგან; 6) ძმათა მეგობარს და უანგარო მოამაგეს ნიკოლოზ ცხვედაძეს“ ტფილისის ქართულ გიმნაზიის მოწაფეთაგან; 7) „მეცნიერების ტაძრის აღმაშენებელს, ძვირფას ადამიანს და სამშობლო ქვეყნის მოამაგეს ნიკო ცხვედაძეს“ თანამშრომელ ს. გ. კლდიაშვილისაგან; 8) „ღირსეულ მამულიშვილს და შესანიშნავ საზოგადო მოღვაწეს ნ. ზ. ცხვედაძეს“ დ. მ. ღუმბაძისაგან; 9) „თავგანწირულ დაუღალავ მოღვაწეს ღრმად პატივცემულს ნიკოლოზ ცხვედაძეს“ მარიამ ვახტანგის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანისაგან; 10) „ჩვენს მამას და ბიძას“ ელო, ფილიპე და სალომესგან; 11) „ქართველთა განათლებისთვის დაუღალავს მუშაკს ნიკოლოზ ცხვედაძეს“ ტფილისის ქართულ ქალთა და ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელთაგან; 12) „მედგარ მებრძოლს ნიკოლოზ ცხვედაძეს“ ქართველ ქალთა ამხანაგობის სამაღრველო სკოლისაგან; 13) ძვირფასს და დაუვიწყარს ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძეს“ პეტრე მიხეილის ძე რატიანისაგან; 14) „ღრმად პატივცემულ საზოგადო მოღვაწეს და ჰუმანიურ პედაგოგს ნ. ზ. ცხვედაძე“ ტფ. თვითმართველობისაგან; 15) „დიდად პატივცემულ ნიკოლოზ ზებედ. ძეს“ კავკასიის ინსტიტუტის მოსამსახურეთაგან; 16) „ძვირფასს და პატიოსან მუშაკს ნ. ცხვედაძეს“ დე-ბლასის მეუღლეთაგან; 17) „უანგარო გულკეთილ შრომით დიდებულ ტაძრის აღმაშენებელს და მოუღალავ მშრომელს ნიკოლოზ ცხვედაძეს“ ქალთა კომიტეტისაგან; 18) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საპატიო წევრს ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძეს“ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობისაგან; 19) „დაუღალავ მუშაკს ნიკოლოზ ცხვედაძეს“ ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისაგან; 20) „დაუღალავ და უანგარო მოღვაწეს ნიკოლოზ ცხვედაძეს“ ქალაქ ქუთაისის თვითმართველობისაგან; 21) „ერთგულ მამულიშვილს საუკეთესო ქართველ მოღვაწეს ნიკოლოზ ცხვედაძეს“ გორის ქართველ საზოგადოებისაგან; 22) „ღრმად პატივცემულს დამსახურებულ ქართველ მოღვაწეს ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძეს“ ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან; 23) „ნიკოლოზ ცხვედაძეს“ ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკისაგან; 24) „ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოების დამფუძნებელ წევრს, დაუღალავ ნიკოლოზ ცხვედაძეს“ გამგე კომიტეტისაგან; „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ გვირგვინის მაგიერ გადასწყვიტა—ორი ცალი გაზეთი უგზავნოს ორ ღარიბ სოფლის ბიბლიოთეკას.

წელს გაცემული იყო სასოფლო სესხი 5,327,459 ლირა. ამ სესხის წყალობით დაარსდა კომუნალური საზოგადოება, რომლის მიზანიც სარწყავ არხების გამოყვანა იყო; მდინარე ადდის მიდამოები სარწყავ მინდვრებად გადაიქციეს. ტელეფონის გამმართველ ამხანაგობას ბანკი აძლევს სესხს 3,75 პროც. ხოლო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათ, რომლებიც გლეხებს სათესლე ჭირნახულს და სამუშაო იარაღს აწვდის, ბანკი ართმევს მხოლოდ 3 ნახ. პროც. ეს ბანკი, ისე როგორც ზემოდ ჩამოთვლილი ბანკები ბევრს ფულსა სწირავს სხვა და სხვა საჭიროებას. ეხმარება გლეხთა და მუშათა კავშირებს, სანატორიებს, სასოფლო სკოლებს, უგზავნის ღარიბ ლატაკთ სახლში დახმარებას წევრების ჩვენებით და წინადადებით და სხ.

ქალაქში გადახურა საქონლით სავაჭრო ვეებერთელა მოედანი. ბანკმა ამ საქმეზედ 100,000 ლირა დაახარჯა.

სახალხო ბანკი ვიჩენცში დაარსდა 1868 წელს. მას ბევრი გაჭირვება დახვდა წინ. უკანასკნელი გაჭირვება იყო კომერციული კრიზისი 1901—1904 წლებში, მაგრამ მაინც გაუძლო ამ გასაჭირსაც. ეს სახალხო ბანკი არ დაეცა არც ეხლა, თუმცა მის მეზობლად თითქმის ყველა ბანკები გაკოტრდნენ, შემდეგ ეს ბანკი თანდათან წელში გასწორდა და დღეს საერთო ჯამი ოპერაციებისა უდრის 56,451,619 ლირას. ასეთი თვალსაჩინო და ნაყოფიერი წინმსვლელობის საიდუმლოება ბანკის ოპერაციაში კი არ იმალება, არამედ მის **მაღალ კოოპერატიულ და სოციალურ მოქმედებაში...**

„ჩვენი დაწესებულება,—ვკითხულობთ გამოცემის მეორე ტომის მე-200 გვერდზედ—არ უნდა უყურებდეს გულგრილად ეკონომიურ წარმოების გრიგალს, რომელშიაც კოლლექტიური იდეა შეუბრალებლივ ანადგურებს ინდივიდუალიზმის ნება-სურვილებს ვაჭრობა-მრეწველობაში“ და მართლაც, სახალხო ბანკი არა მარტო სიტყვით, საქმითაც ეწინააღმდეგება უკიდურეს ინდივიდუალიზმს, აქეზებს რა მუნიციპალიზაციას და კოოპერაციას ყოველგვარ მის სახიერებაში, ბანკის სესხის საშუალებით გაყვანილ იქმნა დაშორებულ პროვინციებშიაო რკინის გზის ლიანდაგი. ვიჩენცის მუნიციპალიტეტს ასესხა ამ ბანკმა სამი მილიარდი ხელსაყრელ პირობებში. იაფი ბინების ასაგებად ამ ბანკმაც გადასდო 250,000. ლირა. ყველა ქალაქის უბანში მოაწყო ელექტრონით მოძრაობა და სათავეში დაუყენა ნახევრად კოოპერატიული კომპანია. და ყველსფერს ამას ბანკი სჩადის „არა რომელიმე პარტიის ზეგავლენით, არამედ ერთად ერთი მიზნით—ემსახუროს პატარა ვიჩენცის კეთილდღეობას და ხელი შეუწყოს სამშობლო იტალიის აღორძინებას“.

დასასრულ, გავეცნოთ კიდევ ერთ ბანკს, რომელიც სამხრეთ იტალიის პროვინციაში ქალაქ მარხიაში იმყოფება. ამ პაწია ქალაქმა დააარსა ეს სახალხო ბანკი 1871 წელს და უბრალო შემნახველ კასას მოქმედებით კმაყოფილდებოდა. თავისი საქმიანობა დაიწყო ერთიბეწო შენობაში, რომელიც უსასყიდლოდ დაუთმო ადგილობრივმა საკომერციო პალატამ. მიუხედავად ასეთი მარტივ დასაწყისისა, ბანკის საქმე წლითი-წლობით წინ მიდიოდა და 1909 წლის მოგება 39,739 ლირამდე ავიდა. ამ ბანკსაც აქვს გასაკუთრებული თანხა, რომელიც უნდა გაიცეს სესხად უპროცენტოდ „პატიოსანი სიტყვის თავდებობით. ამ ბანკს თავის უმთავრეს მიზნად დასახული აქვს სასოფლო კოოპერატივების დაარსება. წესდების ძალით მოგების 20/0 ყოველწლიურად საქველ-მოქმედოდ ინახება, ამას ემატება აგრეთვე ერთდროულად შეწირული თანხები. ბანკმა დააარსა ბავშვთა თავშესაფარი, მუშათა საზოგადოებანი, ბანკის ანგარიში ამ სიტყვებით ბოლოვდება: „ჩვენი ბანკი აკეთებს წყნარს, მაგრამ საკულტურო საქმეს. ემსახურება სხვა და სხვა კლასთა და საზოგადოებათა დაახლოებას.

ჯაფარ ფაშა.

(შემდეგი იქნება).

ისევ აზეფი

„ნოვოე-ვრემიას“ სიტყვით, ერთ სოციალისტ-რევოლუციონერების საქმეში ჩახედულ პირს უთქვამს: რამდენიმე კვირის წინად სავინკოვმა მართლაც აზეფისაგან წერილი მიიღო. მას იმედი აქვს, პარტიის მეთაურები გამამართლებენო. აზეფს ისევ პარტიაში უნდა შესვლა და მუშაობა. წერილს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია გაზეთის კორესპონდენტს უკითხავს, სოციალისტ-რევოლუციონერთა წარმომადგენლებს მსჯელობა ჰქონდათ ამ წერილის თაობაზეო? არაო, უპასუხნია მასა.

—სავინკოვი ძალიან დიდი ეჭვით შეჰყურებს საქმეს. ემიგრანტებსაც ძლიერად სძულთ აზეფი და გულგრილად არ შეუძლიანთ მისი სახელის ხსენება. სავინკოვი ყველაზე ჭკუა-დამჯდრად ლაპარაკობს. წერილს ჩქარა პარტიის კრებაზე განიხილავენ.

—რა სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს პარტიას აზეფმა ეხლა?

—უპირველესად ყოვლისა, იგი ბევრ საგულისხმო რამეს გამოამჟღავნებს. იგი უკვე კარგად იცნობს დამცველ პოლიციის მაძებრობის სისტემას. მამასადამე კარგი ძღვენი მოაქვს აზეფს პარტიისთვის. სხვათა შორის აზეფი სწერს სავინკოვს, რევოლუციის სასარგებლოდ დიდი გეგმა მქონდა შედგენილი, მაგრამ კატასტროფამ დამიშალა მისი განხორციელებაო. ალბად ამ გეგმასაც გააცნობს პარტიას. აზეფს საორგანიზატორო ნიჭი აქვს და გერშუნიზე მაღლაც კი აყენებენ. ამ პირობებში რევოლუციას აზეფი იმდენ სარგებლობას ვერ მოუტანს, რასაკვირველია, როგორც წინად. წერილი—მისი სულის მდგომარეობის გამომხატველია. აზეფს ძალიან აწუხებს გარემოება, რომ ყოველთვის სიკვდილს უნდა ელოდეს. ეხლა არ იციან, აზეფი სად არის. ამბობდნენ, სამხრეთ ამერიკაშიაო. პარიზში ამბობენ, რუსეთშიაო. დანამდვილებით არაფერი იციან.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები

3 ნოემბერი

პეკინი. ჩჟილის ვიცე-კოროლი მთავრობას ატყობინებს, ტიანცზინში უცხოელთა კონცესიები სავსეა სატახტო ქალაქიდან არეულობის შიშით გამოქცეულ მოხელეებითაო. იგი სთხოვს, როგორმე უკან დააბრუნეთ ისინიო. ჩჟილის საპროვინციო საკრებულომ მინისტრთა საბჭოს დეპეშით აცნობა: უეჭველად საჭიროა სახელმწიფოს ფედერატიულად მოწყობაო. ხენანის პროვინციამ ავტონომია გამოაცხადა.

შანხაი. უჩანის სიმაგრეებიდან ხანკოუს ესვრიან. რამდენიმე ყუმბარა უცხოელთა სეტლიენტ-სოფელში დაეცა. ამერიკელი მისიონერი ექიმი რიგი გენერალ ჩჟანს არწმუნებდა, ორი კვირით ზავი ჩამოაგდეთ და ორივე მხარემ ნანკინსა და ჩჟანსიანში თავ-თავისი პოზიციები შეინარჩუნეთო. ჩჟანს 20 ათასი კაცი ჰყავს. მან განაცხადა, ვიდრე პეკინის მთავრობა გადასწყვეტს, ვერაფერს გავხდები, სუჩჟოუსა და შანხაის ვერ დავიბრუნებო. რკინის გზა აჯანყებულთა ხელშია.

ვაშინგტონი. მთავრობის ცნობით რაზმის გაგზავნას საპოლიტიკო მნიშვნელობა არა აქვს. ბოქსერთა აჯანყების შემდეგ სახელმწიფოებმა მოიპოვეს უფლება, რომ ჩინეთის რკინის გზებზე თავის რაზმები იყოლიონ. მთავრობას ჰსურს ეს უფლება გამოიყენოს და ჩინეთის მიწა-წყალს ხელი არ ახლოს.

პეკინი. ახალი კაბინეტი იუანშიკაის პირად მოხსენების თანხმად უნდა შესდგეს.

გაზეთებიდან.

ჩინეთის მთავრობის თხოვნა

გაზ. „კასპს“ ხარბინიდან საკუთარი კორესპონდენტი სწერს: ამბობენ, პეკინის მთავრობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა სთხოვს,—გავლენა მოახდინე ევროპის სახელმწიფოებზე, საქმეში ჩაერივნენ, და რევოლუცია ჩააქრონო.

ბოგდიხანის რუსეთში გამოქცევისთვის მზადება.

სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, რომ რევოლუციის გაძლიერებისა და გამარჯვების გამო, შესაძლებელია ჩინეთის ბოგდიხანი რუსეთში გამოიქცესო.

საკვირველია, რუსეთში რათ უნდა გამოიქცეს, როცა იაპონია იქვე გვერდზეა. მაგრამ ამას პატივსადები მიზეზი აქვს: ფლოტი რევოლუციონერების ხელშია, შეიძლება იაპონიამაც დრო ხელთ იგდოს და სხვაფრივ გამოიყენოს მანჯურთა დინასტიის გვირგვინოსანის ტყვედ ყოფნა. ამნაირად იმპერატორს მხოლოდ რუსეთს გაქცევა შეუძლიან. მაგრამ რანაირად? მუკდენისა და სინ-მინ-ტინის გზით საშიშოა: იქ რევოლუციონერები დაძრწიან, მუკდენიდან კუანჩენძამდე კი იაპონიის საზღვრებში რკინის გზაზე ყოფნა მოუხდება. ამიტომ ყველაზე მოხერხებული მონგოლეთის გზაა. ეს გზა ყველაზე მოკლე და მოხერხებულია, რადგან არსებობს საქარავნო გზა ძი-სანი. საშიში მხოლოდ ისაა, ლიაო-ხესა და იანცზისთან აჯანყებული მეათე დივიზია სდგას და ხუნხუზები თარეშობენ.

დარჩა მეორე გზა: კალგანსა, განჩეოუს, მანოს, კულჯასა და ჯარკენტით. თუმცა ეს გზა ორჯელ გრძელია პირველზე, მაგრამ აქ ხალხი უფრო ტახტის ერთგულია და იმპერატორს მფარველობასაც გაუწევს.

საფრანგეთ-გერმანიის მორიგება

დეპეშები

3 ოქტომბერი.

ბერლინი. რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიას კიდერლენ-ვეხტერმა საფრანგეთ გერმანიის მორიგების ამბავს შემდეგი დაუმატა: საფრანგეთი მზად არის გერმანიის სასარგებლოდ უარჰყოს 1910 წლის 14 ივნისს დადებულ საფრანგეთ-ესპანიის ხელშეკრულების მიერ მინიჭებული უფლებანი, რომელიც იმ შემთხვევას ეხება, თუ გერმანიამ ესპანიისაგან ახალ გვინეისა, კუნძულ ჩერიოკოსა და ელობეას შეძენას მოისურვებს. გერმანიამ თავის მხრივ განაცხადა, მაროკოს თაობაზე ესპანიისა და საფრანგეთის შეთანხმებაში მონაწილეობას არ მივიღებო.

პარიზი. გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ინგლისმა და რუსეთმა ოფიციალურად გამოაცხადეს თავისი თანხმობა მაროკოს ხელშეკრულების თაობაზეო.

სპარსეთის არეულობა

დეპეშები

3 ნოემბერი.

ლონდონი. სპარსეთისა და ინგლისის დასამეგობრებლად საზოგადოების დაარსების გამო გამართულ ნადიმს ინგლისისა და სპარსეთის გამოჩენილი მოღვაწენი დაესწრნენ. სპარსეთის ელჩმა განაცხადა, ინგლისის თანაგრძნობა ეხლა, როცა სპარსეთი რეფორმების გზას დაადგა, ძალიან ძვირფასიაო. კერზონი გადაკვრით შეეხო რუსეთის ულტიმატუმს და აღნიშნა, სპარსეთის მოღვაწენი დიდ ყურადღებას აქცევენ წვრილმანს, მაგრამ არც სხვა სახელმწიფოთა საქციელია ბრძნულიო. სპარსეთი, უპირველესად ყოვლისა, მშვიდობიანობა და ნდობა ესაჭიროება.

თეირანი. რუსეთის ნოტაზე ჯერ პასუხი არ გაუციათ. მინისტრთა თავმჯდომარემ — სამსამ-უს-სალტანემ, რუსეთის თხოვნისა და სურვილის მიხედვით შუსტერს უბრძანა ბატონიშვილ შოა-უს-სალტანეს სასახლისათვის მოეშორებინა ჟანდარმები, მაგრამ იმან უარი უთხრა, ბატონიშვილის ქონების კონფისკაციის ბრძანებაზე, მარტო თქვენ კი არა, კაბინეტის ყველა წევრს უწერია ხელიო. იმ დღესვე პირველი მინისტრი და გარეშე საქმეთა მინისტრი სამსახურიდან გადადგნენ. ახალი კაბინეტი ვერ შესდგა. სამინისტროს კრიზისი და რეგენტის მოსალოდნელი გადადგომა სპარსეთის შინაურ საქმეების აწეწ-დაწეწვით აიხსნება. კაბინეტის შედგენას ხელს უშლის მეჯლისი და შუსტერი. რუსეთის ულტიმატუმთან მათ გადადგომას კავშირი არა აქვს. ჯერ ცნობები არ მოსულა, დააკმაყოფილებს თუ არა სპარსეთი რუსეთის თხოვნას და ჟანდარმთა შეუწყნარებელ მოქმედებისათვის ბოდიშს მოიხდის თუ არა.

ლონდონი. პალატაში გრეიმ განაცხადა, თავრიზში მყოფმა რუსეთის ელჩმა რეშად-ულ-მულკის სასარგებლოდ დაიწყო მოქმედება, რადგან რეშადი რუსის ორდენის კავალერია და ელჩს ეგონა, გაუსამართლებლად დასჯიანო.

ინგლისი ასე მოქმედებდა, როდესაც იგი 1907 წელს ნასრ-ულ-მულკს გამოესარჩლა. გრეის აზრით, რუსეთ-ინგლისის ხელშეკრულების ძალით ამ საკითხის აღძვრა შეუძლებელია.

თეირანი. პარლამენტის კომისიამ მეჯლისს რეგენტის გადადგომის თაობაზე მოხსენება მიართვა და თანაც დასძინა, სპარსეთიდან რეგენტის წასვლა უხერხულიაო.

პეტერბურგი. რადგან სპარსეთის მთავრობას რუსეთის მიერ 29 ოქტომბერს თეირანში ჩაბარებულ ნოტის პასუხი არ გაუგზავნია, რუსეთის მთავრობამ ბრძანება გასცა, დაუყოვნებლად გაიგზავნოს სპარსეთს თეირანის ჯარი და ჯერ-ჯერობით იგი თეირანის გზაზე, ქალაქ ყაზვინთან დაბანაკდეს.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

3 ნოემბერი.

ქაირო. ოტომანთა წრეებში ჰფიქრობენ, მეჰმედ-რეუფ-ფაშა მედინაში იემენელთა მეთაურებს მოელაპარაკება ოსმალ-არაბთა ჯარის ერიტრეიში გადასვლის თაობაზე.

სტამბოლი. გაზეთების ცნობით, ეგვიპტის საზღვარზე სოლუმს ახლო იტალიის კრეისერები დასცერავენ და ნაპირზე ჯარის გადაყვანა სწადიანთ. ბედუინებმა გადასწყვიტეს, წინააღმდეგობა გაუწიონ.

მინისტრთა საბჭოს მსჯელობა ჰქონდა ზავის პირობების თაობაზე. ამბობენ, მინისტრთა უმეტესობა ომის განგრძობის მომხრეაო.

გაზეთებიდან

ტრიპოლიში შტაბი ისევ სიათის ძილშია, თუმცა ყოველ დღე ჯარი ემატება. ამ დღეებში 12 ბატარეია მოვიდა. პოზიციებზე მდგარი აფიცრები ჰგრძნობენ პასიურ დაცვის უვარგისობას. ავდარი უფრო ცუდ გუნებაზე აყენებს ჯარსა; მტერი

იმდენად გამედიდურდა და გათამამდა, რომ ყოველ დღე უახლოვდება და ყუმბარას ესვრის ქალაქსა. მთავარსარდლის სასახლეში თათბირი იყო, როგორ დავიფაროთ თავი ზურგიდან წამოპარულ ოაზისელებისაგანაო. წინადადება შეიტანეს, ოაზისის მესამედი გადავბუგოთო. ბუნების ხელთქმნილის ბარბაროსული შემუსვრა უარჰყვეს. საჭიროა ჩხრეკის დაწყება, მძევლების წართმევა და განსაკუთრებით საჩქაროდ იერიშის მიტანაო. ყველაფერი მზად არის: 4 ათასი აქლემი ჰყავთ. სურსათის შემოტანაშიაც ხელს ვერ უშლიან. მეტროპოლიიდან ცხენოსანს არა ჰგზავნიან, თუმცა ჯარს მხედრობა ესაჭიროება. მოწინავე პოზიციებს ოთხი პროჟექტორი აქვს.

ლონდონი.

მალტიდან ამბავი მოდის, იტალიის ჯარში უკმაყოფილება იზრდებაო. ეგვიპტეში თურმე ოსმალეთის სასარგებლოდ დიდძალი ფული გროვდება, კონტრაბანდად ტრიპოლიში ოსმალეთის ჯარისთვის ნახევარი მილიონ მანეთის თოფი და ტყვიის მტყორცნელი შეიტანეს.

რომი.

ანექსიის დასამტკიცებლად პარლამენტს დეკემბერში მოიწვევენ.

ტრიპოლიდან იუწყებიან, გუშინდელ ბრძოლაში მხოლოდ ოსმალები იღებდნენ მონაწილეობას, არაბები არ ეხმარებოდნენო.

აქ მოსულ ამბის მიხედვით, ფესანიდან ოსმალების დასახმარებლად მოხალისენი მიდიან. ამბობენ, ჩქარა საერთო იერიშს მიიტანენო.

ბერლინი.

„ფრანკ. ცაიტ." რომიდან ამბავი მოჰსვლია, იტალიის ესკადრას ებრძანა ეგეის ზღვა დასტოვეთ, რადგან იტალიის მთავრობას რუსეთმა და ინგლისმა განუცხადა, ნებას არ მოგცემთ ნავთსადგურებს ალყა შემოარტყათო.

ვენაში ჰფიქრობენ, სახელმწიფოების განცხადების მერე, იტალია ეგეის ზღვაზე მოქმედებას აღარ დაიწყებსო.

სამხრეთ ტიროლში აუარებელი გამოქცეული იტალიელი ჯარისკაცი მოდის. ისინი ტრიპოლიში გაგზავნას გაურბიან.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოს)

3 ნოემბერი

საზღვარ-გარედ.

სალონიკი. გრევნის მიტროპოლიტის მკვლელობის გამოძიებამ გამოარკვია, რომ მკვლელობა ბერძენ ყაჩაღებს ჩაუდენიათ.

ბუდაპეშტი. პრესას არ მოსწონს მინისტრ გაუხის სიტყვა, სადაც მან უნგრეთის ცალკე ჯარის შედგენის წინააღმდეგ ილაპარაკა.

ათენი. პალატამ უარჰყო წინადადება სასწრაფოდ კონსტიტუციის შეცვლისა, რომლითაც სასულიეროთა საარჩევნო უფლება იქნება შემოღებული.

პარიზი. მინისტრთა საბჭომ მოიწონა სამხედრო მინისტრის მიერ წარმოდგენილი ზომები თოფის წამლის კეთების კონტროლის თაობაზე.

ლვოვი. „სლოვო პოლსკე" იუწყება, სიმინსკი ბარანსკის ჩერნოვიცში მოვიდა ავტომობილით. მასთან სხვა ვიღაც იყო, სასტუმროს დარჩნენ და მერე რუსეთის საზღვარს მიაშურეს.

ლისაბონი. სამუნიციპალიტეტო არჩევნების გამო დიდი არეულობა მოხდა. ნავთსადგურის ექვსი მუშა დასჭრეს და ოთხი მოჰკლეს.

ლონდონი. პორტლენდს და ბერხვენის შუა ჯავშნოსან „სენტ-ვინცენტის" უფროსი ტალღამ გაიტაცა და დაახრჩო.

რუსეთი

გომელი. სადგურში მდგარ საბარგო მატარებელს მატარებელი დაეჯახა ორთქლმავალი დაზიანდა, შვიდი ვაგონი დაიმსხვრა

ჰელსინგფორსი. აბოსის ციხიდან გაქცეული დასჭრეს და დაიჭირეს.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს შეკითხვათა კომისიამ უარჰყო შეკითხვა კიევში იუშჩინსკის მოკვლის თაობაზე, შეკითხვას პურიშკევიჩი ჰმეთაურობდა.

გიმნაზიათა კომისიას მსჯელობა ჰქონდა საშუალო სკოლათა რეფორმის თაობაზე. მან შეადგინა კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც სამზრუნველო საბჭო უნდა შესდგებოდეს დირექტორისა, სკოლის ოთხი მასწავლებლისა მშობელთა ორ წარმომადგენლისა და ადგილობრივ თვითმართველობის ხუთის წარმომადგენლისაგან.

წერილი რედ. მიმართ

გაზეთ „ზაკავკაზიეს" 3 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილია შემდეგი წერილი:

„მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ ქვემო მოხსენებული დავბეჭდო: ტფილისის გაზეთების კვირის ნომერში დაბეჭდილი იყო, რომ ქართველ ამომრჩეველთა ბიურომ მომავალ საქალაქო არჩევნებში ხმოსნობის კანდიდატად, სხვათა შორის, მეც დამასახელა.

ბიუროს დიდ მადლობას ვუხდი იმ პატივისცემისათვის, რაიცა მან თავისი ჩემდამი ყურადღებით გამოხატა, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ არ შემიძლიან არჩევნებში კანდიდატობა ვიკისრო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქალაქის თვითმართველობის ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე სხვა შეხედულება მაქვს, ვიდრე ქართველ ამომრჩეველთა ორგანიზატორებს და მეორეც, ჩემთვის შეუწყნარებელია ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის ორგანიზატორობის მიერ მიღებული ტაქტიკა. არის საზღვარი, რომლის გადალახვაც, თუნდ დროებით, ჩემგან აღსარებულ მრწამსის ღალატს უდრის.

დავშთები მარადის თქვენი პატივისმცემელი **ა. მდივანი.**

გუშინდელ „ზაკავკ. რეჩში" შემდეგი წერილია დაბეჭდილი:

„მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! გუშინდელს გაზეთებში დაბეჭდილი იყო სია ტფილისის საბჭოში მომავალ ოთხ წლისათვის ასარჩევ ხმოსნების კანდიდატებისა. პირველ საარჩევნო უბნის კანდიდატებში მეცა ვარ დასახელებული.

პატივისცემით ვაუწყებ ჩემს დამსახელებელ ჯგუფს, რომ მე გადავწყვიტე ახლანდელ საარჩევნო სიაში კენჭი არ ვიყარო.

მადლობას ვუხდი იმ პირთ, რომელთაც ჩემდამი ყურადღება გამოიჩინეს და ვთხოვ ჩემი კანდიდატურა მოხსნან.

რაიცა ჩემი უარის მიზეზს შეეხება, დაინტერესებულთ საამისო მასალის პოვნა შეუძლიათ ჩემს გაზეთ „თემში" საქალაქო არჩევნების თაობაზე დაბეჭდილ წერილებში.

კანდიდატების სიის დამბეჭდველი გაზეთები, იმედია, მოვალედ ჩასთვლიან თავს ჩემი უარიც გამოაცხადონ.

მიიღეთ გულწრფელი პატივისცემა და სხვ. **გრიგოლ დიასამიძე.**

ბატონო რედაქტორო! 28 მაის 1911 წ. ქ. ტფილისში დაიბეჭდა ალმანახი „შუქი". ალმანახში მოთავსებული იყო წერილი „ბურჯნი დღევანდელი საქართველოსი", რომელშიაც, სხვათა შორის, ბრალდებანი იყო წამოყენებული თ. გ. რ. ამირეჯიბის წინააღმდეგ. ამ წერილის პასუხის მგებლები ვიყავით მე და სხ. ყიფიანი. ალმანახის გამოსვლის შემდეგ თ. ამირეჯიბმა თავის გასამართლებლად მოითხოვა სამედიატორო სასამართლო.

12 ღვინობისთვეს 1911 წ. მოხდა გასამართლება. რომლის ძალითაც თ. ამირეჯიბი სრულიად გამართლებულ იქმნა.

მე პირადად ამ დადგენილების თანახმა არა ვარ, რადგანაც, ჯერ ერთი, სასამართლომ საჭიროდ არა სცნო მე, როგორც ერთი პასუხისმგებელთაგანი, მოვეწვიე საქმის გარჩევის დროს და მეორეც, იმიტომ, რომ იმ მასალების ძალით, რომელიც მათ სასამართლოს ჰქონდა ხელში, მას სრულებითაც არ უნდა გამოეტანა ამგვარი დადგენილება. ამიტომ მკითხველ საზოგადოებას ჩემი და სხ. ყიფიანის წერილი თ. ამირეჯიბის შესახებ ტყუილი ცილისწამება არ ეგონოს გადავწყვიტეთ ცალკე წიგნად გამოვცეთ ყველა ის მასალები, რომელიც საქმის გარჩევის დროს სასამართლოს ჰქონდა ხელში. და ამგვარად მივცეთ საშუალება მკითხველ საზოგადოებას, თითონ დასდოს მსჯავრი როგორც მე და სხ. ყიფიანის სიმტყუნეს, აგრეთვე ბ. ამირეჯიბისა და სამედიატორო სასამართლოს სიმართლეს.

ექიმი ნ. კლიმიაშვილი.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ პატარა წერილს თქვენ პატივცემულ გაზეთში.

წიგნის გამომცემლობა „კულტურას" აგენტების ალექსანდრე ყორანაშვილის და სარდიონ გურგენიძის საყურადღებოთ.

უმორჩილესად ვთხოვ „კულტურას" და მის აგენტს ალექსანდრე ყორანაშვილს დამიხსნას ამისთანა გამოურკვეველ მდგომარეობიდან, რომელიც ამოვიკითხე „სახალხო გაზეთის" № 421 სამშაბათი 11 ოქტომბრისა ბ. სარდიონ გურგენიძის დიდ წერილიდან; ვითომც მე მიმეთვისებინოს მაგისი მანეთი და ან კიდევ სახელს ვუტეხავდე „კულტურას". აი საქმე რაშია: ჯერ-ერთი, მე „კულტურის" აგენტადი არა ვყოფილვარ შარშან ჩემთან შემოიარა „კულტურის" აგენტმა ალექსანდრე ყორანაშვილმა, გადმომცა ერთი ჩეკი და მთხოვა, თუ შეგიძლიანთ წიგნების გაყიდვაში დამეხმარეთ. მე სულ გავყიდე სამი წიგნი ბ. ბ. დადქვიაშვილზე, კანდელაკზე და გურგენიძეზე. იმ პირობით, რომ წიგნები ფოსტით უნდა მოსულიყო. პირველი ორი წიგნის ფასი გადავეცი ბ. ყორანაშვილს. მესამე მანეთი და დანარჩენი ჩეკები ბ. გოგინაშვილს, რომელზედაც მიმითითა აგენტმა ყორანაშვილმა, რადგან თითონ ტფილისში დაბრუნდა, და თანაც გადმომცა, წიგნებს ბ. გოგინაშვილისაგან მიიღებთო. რაღაცა მიზეზებისა გამო წიგნები ფოსტით ვერ მოვიდა, გამოეგზავნათ კერძოთ. მე*) ბ. გოგინაშვილმა გადმომცა ორი წიგნი და მითხრა: დანარჩენები, თითონ ჩემთვისაც არ მოსულაო, როცა მომივა გადმოგცემო. ასევე გადავეცი ბ. გურგენიძეს, რომ სულ არ გამოუგზავნიათ, როცა მოვა თქვენ წიგნს გადმოგცემთ-მეთქი. რა მიზეზით იყო დაგვიანებული, არ ვიცოდი და ეხლაც არ ვიცი. ვიმეორებ კიდევ, უმორჩილესად ვთხოვ „კულტურას" და მის აგენტს ალექსანდრე ყორანაშვილს დააკმაყოფილოს ბ. გურგენიძე და გამოაცხადონ გაზეთის საშუალებით რა მიზეზებით არ იყო გამოგზავნილი მესამე წიგნი, რომლის გულისთვის უმიზეზოთ ლაქას სცხებენ გაზეთის საშუალებით სრულიად უდანაშაულო ადამიანს. **ს. ებიაშვილი.**

---

*) ამ ჟამათ ბ. გოგინაშვილი ბაქოს ცენტრალურ ციხეში იმყოფება.

ს. ებიაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა ზამთრობით

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

15 ოქტომბრიდან

ტფილისიდან გადის:

ბათუმისაკენ: 1) სახალხ. მატ. № 7, II—III კლ. გადის საღ. 9 ს. 40 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 2 ს. 10 წ., რიონში დილ. 6 ს. 54 წ., ბათუმში შუადღ. 12 ს. 44 წ.

2) სახალხო მატარ. N 5. II—III კლას. გადის საღ. 6 ს. 30 წ., გორში ჩადის 8 ს. 26 წ., მიხაილოვში 10 ს. 58 წ. რიონში 12 ს. 55 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 28 წ.

3) საფოსტო მატ. N 3, I—III კლ. გადის დილ. 8 ს. 52 წ., გორში 11 ს. 29 წ., მიხაილოვში 12 ს. 58 წ., რიონში საღ. 5 ს. 19 წ., ბათუმში ღამ. 10 ს. 15 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატარ. N 2, I—III კლ. დილ. 9 ს. 22 წ., განჯაში ნაშუადღ. 2 ს 0 წ., ბალაჯარში საღ. 10 ს. 18 წ., ბაქოში საღ. 10 ს. 45 წ.

2) სახალხო მატ. № 6, I—II კლას. ნაშუადღ. 2 ს. 40 წ., განჯაში საღ. 8 ს. 48 წ., ბალაჯარში დილ 6. 36 წ., ბაქოში დილის 7 ს. 13 წ.

3) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. ღამ. 10 ს. 20 წ., განჯაში დილ. 4 ს. 31 წ., ბალაჯარში ნაშუადღ. 2 ს. 32 წ., ბაქოში ნაშუადღ. 3 ს. 54 წ.

4) შერეული მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 34 წ., განჯაში ნაშუადღ. 1 ს. 59 წ., ბალაჯარში დილ. 5 ს., ბაქოში დილის 6 ს. 14 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სახალხო მატარებ. N 9/66, I—III კლ. ნაშუადღ. 2 ს. 25 წ., ბორჯომში ჩადის საღ. 8 ს. 4 წ.

ჯულფისა და ერევნისაკენ:

სახალხო მატარ. N 74/75, I—III კლას. საღ. 10 ს. 50 წ. ჯულფას ჩადის მეორე დღეს საღამოს 10 ს. 12 წ,

2) სახალხო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. ნაშუადღ. 4 ს. 36 წ., ერევანში ჩადის დილის 10 ს. წ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან: სახალხო N 6, I—III კლას ნაშუადღ. 1 ს. 52 წ., საფოსტო N 4, დილ. 9 ს. 30 წ. სახალხო № 8,—ნაშუადღ. 4 ს. 35 წ.

ბაქოდან: სახალხო N 5. ნაშუად. 4 ს. 9 წ. საფოსტო N 3.—დილ. 7 ს. 56 წ. ჩქარი მატარ. N 1.—საღ. 8 ს. 58 წ.

ერევნიდან: საფ. N 72—73,—დილის 7 ს. 27 წ.

ერევნიდან: საბარგო და სახალხო № 80 81—შუადღის 12 ს. 42 წ

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომლებიც ამიერ-კავკასიის I და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

ჯულფიდან: საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სახალხო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სამგზავრო N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., სახალხ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

განცხადებანი

მუხრანის კერძო

სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს უოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.

გ. მ. გოგობერიძე—შინაგან. და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

მ. ქ. ახლედიანი—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევ. რიდან 11 ს.

მ. ლ. შტრეიხერი—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ლ. გ. ხაუვბრელიძე—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

იაშვილი—შინაგან, 1—2 ს.-დე.

გ. ბ. მელქონიანი—ქირურგ., 12—1 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

გ. ა. ახვერდოვი—შინაგან, 12 ნახ.—1 ნახ. ს.-დე.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. 12 ნახ.—1 ს.-დე.

[illegible]—კბილისა, 8—10 ს.-დე.

მ. გ. ტიკირტუმოვი—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1003—167

დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ი. მ. ჩაქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვა: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუსელიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. მუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ზ. ს. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. შ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და სიბავშვო.

ბ. გ. ბეგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. შ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მოთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. (1168—174)

ექიმი ზ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის.

გამოცდილი მასწავლებელი

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოწაფე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატექნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე.** ყველა კლასის ჩაბარებისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, **პანსიონში.** მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შევსებიდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, (около памяти. Воронцову), спросить учителя. (თ. 1084.13)

სამშობიარო თავშესაფარი

მ. ი. კრემერ

ნიკოლოზის ქუჩა, № 47. ორსულ და მშობიარე მანდილოსანთა მიღება ყოველ დროს, დღისით და ღამით. მიიღებიან ქალთა სნეულებისა და საბებიო საქმისათვის. გასინჯვა და შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა; ყვავილს უძრის ყოველ დღე ნაშუადღევს 1—2 საათამდე თავშესაფარის გამგე დოქტორი-მედიცინისა. (25—913—2) **ი. გ. უპლამბერგი.**

მარმარილოს სახელოსნო

გ. ზ. კანდელაკისა

სკულპტურა, არქიტექტურა და მოზაიკა.

რიყის ქუჩა, N 13. (25.1572.3)

აგენტი

მ. ა. გაჩონია

ღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სატახტო ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების შემკრებ **აგენტთათა ლ. ე. მეტცლისა და ამხ.** და საქციონერო საზოგ. **„ანონსისა"** რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკატების გაკვრის საქმეში.

მისამართი: ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი", კიროჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს. და საღამოს 4—5½ საათამდე.

გამოვიდა და იყიდება თხზულებანი:

არჩილ ჯორჯაძისა:	წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო",	ფ. 75 კ.
„ „	წ. II. „ჩვენი [illegible]"	ფ. 80 კ.
„ „	წ. III. „ნააზრევი"	ფ. 65 კ.
„ „	წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან", 1901—1904 წ.	ფ: 85 კ.
Bâton-ისა:	„ერი და კაცობრიობა"	ფ. 1 მ. 20 კ.
შ. ყიფიანისა:	«სამეგრელოს მთავარი ლევან", ისტ. დრამა	ფ. 40 კ.
ნ. შიუკაშვილისა:	«მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა	ფ. 30 კ.

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.



გაფრთხილება

ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნევრალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ქლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლისგახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

გასასყიდად გავრცელდა მრავალი იაფ-ფასიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, ჩვენის **სპერმინის** მიბაძულებანი, რომელსაც ნაირ-ნაირ სპერმინის სახელით ასაღებს და სნეულთა შეცდომაში შესაყვანად ამ ყალბ წამლების მკეთებელნი წამალთან ერთად უგზავნიან ექიმებისაგან დადასტურებულ ჩვენის **სპერმინ-პელის** რეკლამას, და თავის წამლის რეკლამად ასაღებენ. ამისათვის ჩვენს მოვალეობადა ვთვლით ჩვენის **სპერმინის** მხმარებელნი გავაფრთხილოთ. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ იბეჭდება **სპერმინის** სიკარგეზე, ჩვენ **სპერმინზე** ნათქვამი, რომელსაც ეწოდება **„სპერმინ-პელა"** ყველა დანარჩენი საშუალებანი მხოლოდ უგვანო მიბაძვაა ჩვენის ფირმის მიერ დამზადებულ **სპერმინ-პელისა** და მათი მარგებლობაც არავითარ შემთხვევაში ჩვენს წამლებს ვერ შეედრება. ერთად-ერთი, ნამდვილი სპერმინი ჩვენი სპერმინ-პელაა—თითო შუშა 3 მანათ. ✦ მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ სპერმინის თაობაზე აუარებელი ლიტერატურა. ✦

органотерапевтическій институтъ. **профессоръ докторъ ПЕЛЬ и С.-вья.**

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.

ავადმყოფებს

(Метцль и К-о. № 95425). (12—1481—7)